85/78/2
პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 8 (451)

1978 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (451) აგვისტო 1978 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

167. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1978 წლის 13 ივნისის დადგენილების რეალიზაციის საქმეში რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ამოცანების თაობაზე.
168. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის უ. ა. შიშნიაშვილის გაწვევის შესახებ.

განყოფილება მეორე

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწყალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ვ. ბუაჩიძისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
173. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
174. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ს. მიმინოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

175. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ლ. ასათიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. წეროძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
178. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1978 წლის 13 ივნისის დადგენილების რეალიზაციის საქმეში რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ამოცანების თაობაზე**

განიხილა რა „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ამოცანების საკითხზე საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1978 წლის 13 ივნისის დადგენილება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1978 წლის 13 ივნისის დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ამოცანების საკითხზე საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ“.

2. დაევალოს რესპუბლიკის რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს:

— ყველა ზომა მიიღონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების უთუო შესრულების უზრუნველსაყოფად, ყოველი ღონისძიებით მიაღწონ იმას, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა მთლიანად პასუხობდეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს მათი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსურობის და მიზანდასახულობის შესახებ, ყოველმხრივ უწყობდეს ხელს საბჭოთა ადამიანების აღზრდას მაღალი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით;

— შეუნელებელი ყურადღებით მოეკიდონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას, სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტების და მუდმივი კომისიების სხდომებზე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობის კრებებზე, სოფლის ყრილობებზე სისტემატურად განიხილონ მათი საქმიანობის გაუმჯობესების აქტუალური პრობლემები მშრომელთა პატრიოტულ, ინტერნაციონალურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში, განვითარებული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლაში, საბჭოური ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების წესის პროპაგანდაში, პოლიტიკური, მეცნიერული, ტექნიკური, აგრონომიული ცოდნის გავრცელებაში კლუბების, კულტურის სასახლეების და სახლების, პარკების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების მონაწილეობის კონკრეტული საკითხები. ამ დაწესებულებების მუშაობაში ფართოდ ჩააბან მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, დეპუტატები, საბჭოთა აქტივი;

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების, გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის და გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნის კოლმეურნეთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა აქტივის ინიციატივის მხარდაჭერისათვის, რომელიც მიმართულია სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ;

— მეტი ყურადღება დაუთმონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადების საკითხებს, სისტემატურად განაზოგადონ ამ სფეროს დაწესებულებათა მოწინავე გამოცდილება, გამოცდილების გაზიარების მიზნით პერიოდულად ჩაატარონ საწარმოო თათბირები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სემინარები და შეკრებები;

— დღენიადაგ იზრუნონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე, მათი საჭირო მოწყობილობით, სახსრებითა და ინვენტარით უზრუნველყოფაზე. ამ მიზნებისათვის მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობები, ყოველნაირად წაახალისონ ინიციატივური და წილობრივი მშენებლობა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების კოოპირირება მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილონ აღნიშნული დადგენილება და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 7 აგვისტო.

№ 1179 — IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

168 საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის უ. ა. შიშნიაშვილის გაწვევის შესახებ

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის უშანგი ალექსანდრეს ძე შიშნიაშვილის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს კენჭისყრა საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის უ. ა. შიშნიაშვილის გაწვევის შესახებ 1978 წლის 25 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 15 აგვისტო.
№ 1188 — IX.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

169 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:**

ომარ ვასილის ძე **ბერიანიძე** — თბილისის მაშველი სადგურის უფროსი.

ოთარ პეტრეს ძე **ვარდუაშვილი** — პირველი თანრიგის მყვინთავი.

სარა ალექსანდრეს ასული **მეზვრიშვილი** — თბილისის ზღვის ცენტრალური მაშველი სადგურის უფროსი მედდა.

გრიგოლ სერგოს ძე **მელიქიანი** — ლისის ტბის მაშველი სადგურის მოტორისტი.

ილია ივანეს ძე **სემენიხინი** — ლისის ტბის მაშველი სადგურის უფროსი მატროსი-მშველელი.

კარლო კალენიკეს ძე **ჭყონია** — თბილისის მაშველი სადგურის უფროსი მყვინთავი.

ნოდარ დიმიტრის ძე **ხუციშვილი** — თბილისის მაშველი სადგურის მოტორისტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 25 აგვისტო.
№ 1200 — IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

170 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის კოლმეურნე ნინო ვართანის ასული **ლევანიანი** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 25 აგვისტო.
№ 1201 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

171 ამხ. შ. ვ. ბუაჩიძისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, ამხ. შალვა ვიქტორის ძე **ბუაჩიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 14 აგვისტო.
№ 1183 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

172 საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება:**

თამარ გრიგორლის ასულ **ანდრიაშვილს** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის უფროს ეკონომისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ვასილის ასულ **ახალკაციშვილს** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განყოფილების უფროს ეკონომისტს.

ირინე დავითის ასულ **ბერუჩაშვილს** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი სამუშაოების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსს.

მალხაზ სიმონის ძე **გაგუას** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის დირექტორს.

ოთარ მიხეილის ძე **დადუნაშვილს** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კულტურის განყოფილების უფროსს.

ბორის არტემის ძე **ზარქუას** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სახელმწიფო სტატისტიკის ზუგდიდის საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის დირექტორს.

ქეთევან ბესარიონის ასულ **მგალობლიშვილს** — საქართველოს სსრ რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის უფროს ეკონომისტს.

ნათელა ნიკოლოზის ასულ **ჩლაიძეს** — ამბროლაურის რაიონის სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორის მოადგილეს.

ლიანა თომას ასულ **ხუხუნაშვილს** — მოსახლეობის აღწერის აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ვახტანგ ალექსის ძე **ჯინჭარაძეს** — მახარაძის რაიონული საინფორმაციო გამოთვლითი სადგურის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 14 აგვისტო.
№ 1185 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

173 საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, სახელმწიფო სტატისტიკის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდება:**

მაყვალა კონსტანტინეს ასულ **ბაბუაძეს** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის ზესტაფონის საანგარიშო-საბუხჰალტრო სკოლის მასწავლებელს.

როზა ივანეს ასულ **პეტროვას** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკური სამმართველოს უფროს ბუხჰალტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ანტონის ძე **სოსელიას** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 14 აგვისტო.
№ 1186 — IX.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

174 ამხ. რ. ს. მიმინოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

შემოქმედებით კავშირებში, პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების მხატვრული ლიტერატურის სექტორის გამგე ამხ. რომან სევერიანის ძე **მიმინოშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **თავმჯდომარე** პ. ბილასშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **მდივანი** თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 8 აგვისტო.
№ 1180 — IX.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

175 თბილისის შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტისათვის საშუალო რგოლის სპეციალისტების მოსამზადებლად წარმატებითი მუშაობისათვის, დაარსების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის **შ. ელიავას სახელობის** რკინიგზის **ტრანსპორტის ტექნიკუმი** დაჯილდოვდეს **საქართველოს** სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** **საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** **თავმჯდომარე** პ. ბილასშვილი.

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** **მდივანი** თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 11 აგვისტო.
№ 1181 — IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

176 ამხ. გ. ლ. ასათიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი გურამ ლევანის ძე **ასათიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 11 აგვისტო.
№ 1182 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

177 ამხ. მ. ნ. წეროძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს ჩარხმშენებლობის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის, თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების ყოფილი მთავარი ინჟინერი ამხ. მიხეილ ნოეს ძე **წეროძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 14 აგვისტო.
№ 1184 — IX.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

178 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

აკაკი დომენტის ძე **ბურდილაძე** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენია ეზუგის ასული **ზუხბა** — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის საინ-ფორმაციო-გამოთვლითი სადგურის ეკონომისტი.

ვალენტინა ჩუხოს ასული **საბუა** — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის მთავარი ინჟინერი.

რიმა პეტრეს ასული **ჩაგელიშვილი** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი.

გურამ დიმიტრის ძე **ციქურიშვილი** — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი, კოლეგიის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 14 აგვისტო.
№ 1187 — IX.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

V საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1978 წლის 25 აგვისტოს სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. თ. ლაშქარაშვილის ინფორმაცია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილებით დასახული ამოცანების შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების თანახმად დასახეს მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 18 ივლისს განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიისათვის წარმოდგენილ მოხსენებაში, დეპუტატების გამოსვლებში, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისა და მოქალაქეთა მიერ სესიის მზადების პერიოდში აღძრული წინადადებები და შენიშვნები, განაზოგადა ისინი და განსაზღვრა მათი შემსრულებლები; ამასთან დადგენილებით დაავალა რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული გეგმა 1979—1980 წლებისა და მეთერთმეტე ხუთწლედისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს დადგენილების სარეალიზაციოდ სერიოზული მუშაობა ტარდება ადგილებზე — სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან იქმნება ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მუდმივი კომისიები; გაძლიერდა ქალთა საბჭოების საქმიანობა; სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები პერიოდულად სწავლობენ ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობებს წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ბევრგან შემუშავებულია ღონისძიებანი ქალთა შრომისა და დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად, მეტი ყურადღება ექცევა დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას, საბავშვო დაწესებულებების მუშაობის, სამკურნალო-პოფილაქტიკური დაწესებულებების საქმიანობის გააქტიურებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების განუხრელად შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა სისტემატური კონტროლი დაწესოს სამინისტროების და უწყებების საქმიანობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების შესასრულებლად. პერიოდულად მოისმინოს მათი ინფორმაცია ამ საკითხზე.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალდებულა სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრების და დასვენების, დედისა და ბავშვის დაცვის მდგომარეობა წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საბავშვო დაწესებულებებში, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, შესაბამისი მუდმივი კომისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

* * *

ამავე სხდომაზე მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის ინფორმაცია რესპუბლიკის საწარმოების მიერ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მისი ხარისხის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მუდმივი კომისიის რეკომენდაციები კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლის წარმოების შემდგომი გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების შესახებ განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად დაეგზავნოს სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებს, საწარმოებს და სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა აამაღლოს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ მინისტრების და უწყებათა ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმით გათვალისწინებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლის წარმოების დავალებათა შესრულებაზე; განიხილოს საკითხი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის გადიდებისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მძიმე მრეწველობის საწარმოებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შესაძლებლობების ფართოდ გამოყენების შესახებ; სპეციალურად შეისწავლოს და განიხილოს რძისა და რძის პროდუქტების ხარისხის, გადამუშავების ტექნოლოგიისა და ტრანსპორტირების საკითხები, მიიღოს ზომები ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკის პროკურატურასა და უმაღლეს სასამართლოსთან ერთად დაეკალა და განახორციელოს ღონისძიებანი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლის სტანდარტების, ტექნიკური პირობების და ნიმუშების (ეტალონების) დარღვევით გამოშვებისათვის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის შემოწმებისას ყურადღება უნდა გაამახვილონ მათ მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხზე.

სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები ვალდებული არიან პერიოდულად შეისწავლონ მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების საქმიანობა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და მისი ხარისხის ამაღლებისათვის, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; ამასთან საკითხების შესწავლა-განხილვაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის ინფორმაცია სამრეცხაოებისა და ქიმიური წმენდის ობიექტების მიერ მოსახლეობის მომსახურების მდგომარეობის თაობაზე.

პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად კომისიის რეკომენდაციები სამრეცხაოებისა და ქიმიური წმენდის ობიექტების მიერ მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ განსახილველად და შესასრულებლად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. თ. ლაშქარაშვილის ინფორმაცია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის სახელზე მიღებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მიმდინარეობის შესახებ.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი „ამომრჩეველთა განაწესებზე ბელორუსიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 თებერვლის დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სს რესპუბლიკაში. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით აქტიურად იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შესასრულებლად, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებათა განსახორციელებლად.

პარტიის მუდმივი ზრუნვა სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასა და სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის ამაღლებაზე ხელს უწყობს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მათი ორგანიზატორული საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სისტემატურ სრულყოფას, დეპუტატების აქტიურობის ზრდას, მასებთან მათი კავშირის განმტკიცებას.

პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზატორულ საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამომრჩეველთა განაწესებს, რომლებიც წარმოადგენენ სოციალისტური დემოკატიის ერთ-ერთ რეალურ გამოვლინებას, მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარების საშუალებას, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა უშუალო მონაწილეობის ეფექტურ ფორმას. „ამომრჩეველთა განაწესებზე ბელორუსიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 თებერვლის დადგენილების შემდეგ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობა.

1977 წლის ივნისის არჩევნებში რესპუბლიკის მეთექვსმეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა შესასრულებლად მიიღეს 21.240 განაწესი და სესიებზე დაამტკიცეს მათი შესრულების ღონისძიებათა წლიური და პერსპექტიული გეგმები.

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

1978 წლის პირველი ივლისისათვის რესპუბლიკაში რეალიზებულია 12.986 განაწესი, ანუ მათი საერთო რიცხვის 60,9 პროცენტი. განაწესების შესრულებას მოხმარდა 48.705,3 ათასი მანეთი, აქედან 19,926,8 ათასი მანეთი იმ სახსრებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია რაიონებისა და ქალაქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებსა და ბიუჯეტებში, აგრეთვე გამოყენებულ იქნა ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის გადაჭარბებით შესრულებისა და გასავლის ეკონომიის შედეგად მიღებული სახსრები. ამის საფუძველზე რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში — თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, გორში, სოხუმში, ფოთში, ჭიათურაში, ახალციხეში, ცხინვალში, ზესტაფონში და სხვა ქალაქებში საექსპლუატაციოდ გადაეცა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საშუალო სკოლების და საბავშვო ბაღების ახალი ტიპური შენობები, კაპიტალური ხიდები, უნივერსალური მაღაზიებისა და სავაჭრო ცენტრების თანამედროვე კეთილმოწყობილი შენობები; გაშენდა დასვენებისა და კულტურის პარკები, სკვერები, გაზონები; კეთილმოეწყო ქალაქების მოედნები, პროსპექტები და ქუჩები; გაფართოვდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი, გაუმჯობესდა მისი მუშაობა და სხვ.

წარმოება-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას მოახმარეს 14.196,7 ათასი მანეთი, ხოლო კოოპერირების წესით გაიღეს 894,6 ათასი მანეთი.

საბჭოები წარმატებით იყენებენ განაწესების შესრულებაზე კონტროლის ისეთ ქმედით ფორმას, როგორიცაა დეპუტატის შეკითხვა. ახალი მოწვევის სესიებზე დაყენებული 530 შეკითხვიდან განაწესების შესრულებას ეხებოდა 203, ანუ მათი საერთო რიცხვის 38,3 პროცენტი.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე განაწესების შესრულების საკითხი 1147-ჯერ იყო განხილული. ამ საკითხს რეგულარულად განიხილავდნენ აგრეთვე საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და მუდმივი კომისიები.

ამასთან საგარეჯოს, კასპის, ბოლნისის, გარდაბნისა და ზოგიერთი სხვა რაიონული საბჭო ფორმალურად მოეკიდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმების შემუშავებას, გეგმები დამტკიცდა შესრულების ვადების დაწესების გარეშე. ახმეტის, ლაგოდეხის, საჩხერის, ლენტეხის და ზოგიერთი სხვა რაიონის საბჭოების სესიებზე ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ მოხსენებით არავინ არ გამოსულა.

მოუმზადებლად განიხილეს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებანი ჩოხატაურის, ამბროლაურის, წულუკიძის, ონის და სხვა რაიონულმა საბჭოებმა. სესიებზე ყველგან არ დაუმტკიცებიათ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმები. მაიაკოვსკის, გარდაბნის, ჩოხატაურის, ბორჯომის, ცაგერის და ბოლნისის რაიონების ზოგიერთ სასოფლო საბჭოში დიდი დაგვიანებით დაამტკიცეს ან ჯერაც არ შეუმუშავებიათ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმები. შედეგად აღნიშნულ რაიონებში დაბალია ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მაჩვენებლები, ხოლო ზოგან ამ მიმართულებით საერთოდ არაფერი არ არის გაკეთებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, ამომრჩეველთა განაწესები ლანჩხუთის რაიონში 20 პროცენტით შესრულდა, ჭიათურის — 23,5 პროცენტით, ახალქალაქის — 30 პროცენტით, ლაგოდეხის — 14,3 პროცენტით, ხაშურის — 31,7 პროცენტით და ა. შ.

რესპუბლიკის ცალკეულ საბჭოებში სათანადო დონეზე არ დგას ორგანიზატორული მუშაობა განაწესების სარეალიზაციოდ. მათ შესრულებაში თითქმის არ მონაწილეობენ მუდმივი კომისიები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციები. მაგალითად, ჯავის, დუშეთის, ბოლნისის, ორჯონიკიძის, გარდაბნის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიასბჭოების არც ერთ მუდმივ კომისიას არ უმსჯელია ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, არ დაინტერესებულა, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ წარმოება-დაწესებულებები და ორგანიზაციები განაწესების სარეალიზაციოდ.

თბილისის ოქტომბრის, პირველი მაისის, ყაზბეგის, ხაშურის, ჯავის, ცხინვალის რაიონული და ზოგიერთი სხვა სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატები განაწესებზე მუშაობის დროს არ იყენებენ კონტროლის ისეთ მნიშვნელოვან ფორმას, როგორიცაა სესიებზე შეკითხვა.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ადგილობრივი პრესის, განსაკუთრებით რადიოგადაცემათა რედაქციების მუშაობა ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის გაშუქების, მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და პოპულარიზაციისათვის.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ბევრი საბჭო და მათი აღმასრულებელი კომიტეტები საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენენ სამმართველოებისა და განყოფილებების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების მიმართ, რათა რეალიზებულ იქნეს შესასრულებლად მიღებული ამომრჩეველთა ყველა განაწესი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნულ საკითხზე გამოიტანა სათანადო დადგენილება და დაავალა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს დეპუტატების განაწესების განხილვისა და შესრულების დროს განუხრელად იხელმძღვანელონ „ამომრჩეველთა განაწესებზე ბელორუსიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 თებერვლის დადგენილებით, იმ დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში პრეზიდიუმის სხდომაზე.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავების, ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის დროს უფრო სრულად გაითვალისწინონ განაწესები, მიზანსწრაფულად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები და საშუალებანი, ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში წარმოება-დაწესებულებათა სახსრების გაერთიანება, განავითარონ მოსახლეობისა და საზოგადოებრიობის ინიციატივა განაწესების რეალიზაციის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ საკითხი ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ, განაწესების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლში უფრო ფართოდ ჩაებან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციები; ყოველმხრივ უზრუნველყონ საქმიანობის საჯაროობა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისას; სისტემატურად განაზოგადონ და დანერგონ ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის დადებითი გამოცდილება.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა საკითხი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ 1978 წლის პირველ ნახევარში. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ამ პერიოდში რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მთელი ორგანიზატორული საქმიანობა მიმართული იყო მეათე ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და აღებული ვალდებულებების უთუო შესრულებისაკენ. კიდევ უფრო ამაღლდა სესიების, როგორც საბჭოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობის ძირითადი ფორმის, როლი და მნიშვნელობა, გაფართოვდა საკითხების წრე, რომლებზეც მსჯელობენ დეპუტატები. 1978 წლის პირველ ნახევარში სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე განხილულია 7.403 საკითხი.

სესიებზე სათანადო ადგილი დაეთმო მშრომელთა წერილების და განცხადებების, დეპუტატთა კრიტიკული შენიშვნების და წინადადებების განხილვას, საბჭოების გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებას, აღმასკომების, მათი განყოფილებების და სამმართველოების მუშაობის განზოგადებას, მუდმივი კომისიების ანგარიშებს და ა. შ.

სესიების მომზადება-ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დეპუტატები. საანგარიშო პერიოდში სესიებზე კამათში მონაწილეობა მიიღო 20.234-მა დეპუტატმა, ანუ მათი საერთო რიცხვის 41,1 პროცენტმა.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობას დიდად შეუწყო ხელი საბჭოების მუდმივი კომისიების მიზანდასახულმა საქმიანობამ.

გაფართოვდა და კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა დეპუტატების საქმიანობა საარჩევნო ოლქებში. 48.558 დეპუტატმა, ანუ მთელი შემადგენლობის 98.5 პროცენტმა ანგარიში ჩაებარა ამომრჩევლებს. დეპუტატების ანგარიშები მოსმენილ იქნა 44.601 კრებაზე, რომლებსაც 3.384.851 ამომრჩეველი დაესწრო.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საკმაო ყურადღებას უთმობენ დეპუტატთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლებას და მათი მუშაობის გააქტიურებას. ჩატარდა 2.168 „დეპუტატის დღე“ და სემინარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატები ხშირად მიმართავენ კონტროლის ისეთ ქმედით ფორმას, როგორიცაა დეპუტატის შეკითხვა. ნახევარი წლის მანძილზე სესიებზე შეკითხვის წესით დაყენებულია 530 საკითხი, ეს მაშინ, როცა 1977 წელს შეკითხვის წესით სესიებზე დაყენებული იყო 652 საკითხი.

ამასთან ყველა საბჭო ორგანიზაციულ მუშაობას მჭიდროდ როდი უკავშირებს რაიონის, ქალაქის, დასახლებული პუნქტის წინაშე მდგარ სამეურნეო ამოცანებს, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომით საქმიანობას; არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების გასაუმჯობესებლად, საჭირო ინიციატივას არ იჩენს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში შეიცვალა ბევრი აღმასკომის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.

ზოგ შემთხვევაში არჩევით თანამდებობებს იკავებენ პირები, რომლებიც არ არიან შესაბამისი საბჭოების დეპუტატები.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი საჭირო ყურადღებით არ ეკიდება დეპუტატებთან მუშაობის, მათი სწავლების საკითხს. ყველგან კარგად არ არის ორგანიზებული დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების საქმე, ეს განსაკუთრებით ითქმის სასოფლო საბჭოებზე

კვლავ გვხვდება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების დარღვევის ფაქტები.

აღნიშნულ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი მუდმივი კომისია ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს, ნაკლებად მონაწილეობს საბჭოსა და აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, საჭირო წვლილი არ შეაქვს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში; რიგ რაიონულ საბჭოებში არ იყენებენ კონტროლის ისეთ ქმედით ფორმას, როგორიცაა დეპუტატის შეკითხვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს თავიანთი საქმიანობა წარმართონ სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებების და ამ პლენუმზე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან გამომდინარე დებულება-

№ 8
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის და მითითებების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებების, ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონების განუხრელად შესასრულებლად.

* * *

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ; რომელზეც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა შესაბამისი დადგენილება.

* * *

V საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად მმაჩის ორგანოების მიერ გაწეული მუშაობა. აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი აქტების ჩამწერი ორგანოების მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები მეტ ყურადღებას უთმობენ მმაჩის განყოფილებების მუშაობას და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მათ. მმაჩის 14 განყოფილებას გამოეყო კეთილმოწყობილი შენობა, ბევრი მათგანი უზრუნველყოფილია ახალი ავეჯით, ინვენტარით და სხვ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ყოველწლიურად ატარებს დათვალიერება-კონკურსს რესპუბლიკის საუკეთესო მმაჩის განყოფილების საპატიო წოდების მისანიჭებლად; ტარდება ქ. თბილისის მმაჩის ორგანოების მუშაკთა სემინარები; კვალიფიკაცია აიმაღლა მმაჩის განყოფილებების, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების 289 მუშაკმა და ა. შ.

მმაჩის ორგანოების მუშაკებს გარკვეული წვლილი შეაქვთ „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილებით დასახულ ამოცანათა შესრულების საქმეში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საქმიანობა ვერ უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნებს.

რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს არ მიუღიათ ზომები შესაფერისი შენობებითა და ინვენტარით ამ განყოფილებების უზრუნველყოფისათვის, მათთვის საზოგადოებრივ შენობებში აუცილებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზების გამოსაყოფად, რათა ქორწინება, ახალშობილთა რეგისტრაცია საზეიმო ვითარებაში ხდებოდეს. არის შემთხვევები, როდესაც ქორწინების რიტუალი ტარდება ნაჩქარევად. მაგალითად, თბილისის ქორწინების სახლში დღის განმავლობაში ხდება 40—60 წყვილის რეგისტრაცია.

გარკვეული სიძნელეები მოქალაქეთა სამართლებრივ მომსახურებაში იმითაც არის გამოწვეული, რომ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მმაჩის განყოფილებებში არ არის ორგანიზებული მოქალაქეთა მიღება შაბათობით.

მმაჩის მთელ რიგ ორგანოებში ბრძოლა მავნე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან არა თუ გაძლიერდა, არამედ შესუსტდა; უხეშად ირღვევა დასაქორწინებელ პირთა ასაკობრივი ცენზი, ქორწინების რეგისტრაციის ვადა, არ იცავენ ქორწინების რიტუალს. ბევრ აღმასკომს დღემდე არ ჩაუტარებია მმაჩის განყოფილებათა მუშაკების ატესტაცია. გაპიროვნებული არ არიან ის თანამდებობის პირები, რომლებმაც უშუალოდ უნდა უხელმძღვანელონ მმაჩის ორგანოების მუშაობას.

ზოგჯერ მმაჩის განყოფილებების მუშაკები არ მონაწილეობენ სამართლებრივ პროპაგანდაში ან არასაკმარისი სერიოზულობით ეკიდებიან ახალი საბჭოთა წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდასა და ყოფა-ცხოვრებაში მათი დანერგვის საქმეს. ზოგიერთი განყოფილება ჩაბმული არ არის რეს-პუბლიკის საუკეთესო მმაჩის განყოფილების საპატიო სახელის მინიჭებისათვის შეჯიბრებაში.

მმაჩის ორგანოების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ახალი, საბჭოთა წეს-ჩვეულებების შემუშავებისა და გავრცელებისათვის, მათი დანერგვის პროპაგანდისა და მმაჩის ორგანოებისათვის მეთოდური დახმარების გაწევისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი იშვიათად აწყობს გადაცემებს, ხოლო გაზეთები და ჟურნალები ნაკლებად ბეჭდავენ მავნე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლისა და ახალი, სოციალისტური ტრადიციების, რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების დანერგვასთან დაკავშირებულ მასალებს.

არასაკმარისია მეთოდური დახმარება, რომელსაც მმაჩის ორგანოებს უწევს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ამ საკითხზე მიღებული დადგენილება და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა განიხილოს საკითხები მმაჩის განყოფილებების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესახებ.

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაევალა გააუმჯობესოს მეთოდური ხელმძღვანელობა და გააძლიეროს კონტროლი მმაჩის ორგანოების მუშაობაზე, მიიღოს აუცილებელი ზომები მათი მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის.

* * *

სხდომაზე შემდეგი საკითხის — სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშების შესახებ დებულების შესრულების მდგომარეობის თაობაზე რესპუბლიკაში განხილვისას აღინიშნა, რომ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშები არის სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმური გაერთიანების, მუშათა და გლეხთა, ყველა მშრომელის ურყევი კავშირის სიმბოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის განხორციელებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

რესპუბლიკის მმართველობითი ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა სახელმწიფო დროშის შესახებ კანონმდებლობის განსახორციელებლად, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშების დადგენილ დღეებში აღმართვა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და დაწესებულებების, საწარმოების და საცხოვრებელი სახლების შენობებზე გამოხატავს მოსახლეობის, ორგანიზაციებისა და საწარმოების, მათი ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობის განუხრელად დაცვას, სახელმწიფო წესრიგისადმი პატივისცემას, სახელმწიფო დისციპლინის და მართლწესრიგის დაცვისათვის შეგნებული პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდას, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის და მოქალაქეობრიობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საწყისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაუშვებლად მიაჩნია სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების რომელიმე მოთხოვნის დაუცველობის თუნდაც ერთეული შემთხვევებიც კი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშების შესახებ დებულების ზუსტი შესრულება; დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმავე სხდომაზე მოისმინეს საკითხი „ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის შემდგომი გაუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ბევრი აღმასრულებელი კომიტეტი სუსტად იყენებს ამხანაგური სასამართლოების შესაძლებლობებს საზოგადოებრივი წესრიგის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევების აღმოსაფხვრელად.

მთელი რიგი ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა არ შეესაბამება თანამედროვე ეტაპზე მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

რესპუბლიკის ზოგიერთ დაწესებულებაში ამხანაგური სასამართლოები უმოქმედოდაა და ამ მდგომარეობას ადგილობრივი საბჭოების ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

კვლავ არ არის აღმოფხვრილი ფორმალიზმი ამხანაგური სასამართლოების არჩევნების ჩატარებაში, ხშირად მათ შემადგენლობაში ირჩევენ პირებს, რომლებიც ავტორიტეტით არ სარგებლობენ, არ აქვთ მუშაობის საჭირო გამოცდილება: ყურადღება არ ექცევა ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში საჯაროობის პრინციპის დაცვას. ხშირად ისინი სხდომებს სათანადო დონეზე არ ატარებენ, საქმეებს იხილავენ დებულებით გათვალისწინებული ვადების უხეში დარღვევით. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ამხანაგური სასამართლოები სამართალდამრღვევს უფარდებენ ზემოქმედების ისეთ ზომას, რომელიც არ არის გათვალისწინებული დებულებით.

ამხანაგური სასამართლოების საზოგადოებრივი საბჭოები ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ბევრ ადგილობრივ საბჭოს აღმასკომთან, ხოლო არსებული საბჭოები სრულყოფილად ვერ ასრულებენ დებულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

* * *

მოისმინა რა თავის სხდომაზე ქ. თბილისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ჟვანიას ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო იგი ცნობად და დაადგინა, რომ აღნიშნული ინფორმაცია გამოცდილების გაზიარების მიზნით დაეგზავნოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ქალთა საბჭოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის სხდომა, დეპუტატ ვ. სირაძის თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა მისი წევრების, დეპუტატების ნ. კიკვაძის და ო. ქაჯაიას მოხსენებები „საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებსა და ბაზრობებზე

№ 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ეროვნულ ექსპოზიციებში საქართველოს სსრ მონაწილეობის შესახებ“ და „მიმდინარე ტურისტული სეზონისათვის უცხოეთის სტუმრების დასათვალიერებლად განკუთვნილი ობიექტების მომზადებისა და სტუმართა მიღებისა და მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

აღინიშნა, რომ 1977 წელს საზღვარგარეთ გამართული გამოფენები და ბაზრობები სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობის სახელმწიფოთა შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს სკკპ XXIV და XXV ყრილობების მიერ დასახული დიადი პროგრამის განხორციელებას.

საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებსა და ბაზრობებში საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებელმა ექსპოზიციებმა ძირითადად უჩვენეს რესპუბლიკის მაგალითზე ხალხთა მეგობრობის, თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ექსპონატების ხარისხი და სადემონსტრაციო სახე.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის წევრის, დეპუტატ ო. ვარძელაშვილის მოხსენება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მშრომელთა წერილების, განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და განხილვის მდგომარეობის შესახებ“. მომხსენებელმა და სიტყვაში გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად სარგებლობლად გაუმჯობესდა მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და მათზე დადგენილ ვადაში რეაგირების საქმე. მიუხედავად ამისა, მუშაობაში გარკვეული ნაკლოვანებებია.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ს. დურმიშიძემ.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის მდივნის დეპუტატ ი. გოგიტიძის მოხსენება რესპუბლიკის საწარმოების მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ხარისხის შესახებ. მომხსენებელმა და სიტყვაში გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრებმა, სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებათა შესრულების, მისი ხარისხის ამაღლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოშვებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი მოდის სახალხო მოხმარების საქონელზე.

მიმდინარე წელს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მინიჭებული აქვს ისეთ ნაწარმს, როგორიცაა საყოფაცხოვრებო ავეჯი, ტრიკოტაჟი, წინდები, აგრეთვე კულტსაყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი.

ამასთან ერთად სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გასადიდებლად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად მრეწველობის სხვადასხვა დარგში არასრულად არის გამოყენებული საწარმოო სიმძლავრეები. მაგალითად, ამ მიზნით ზესტაფონის ქარხანა „საქაბელი“ საწარმოო სიმძლავრეების მხოლოდ 50 პროცენტს იყენებს.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა თ. მენთეშაშვილმა.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი სამრეცხაოებითა და ქიმიური წმენდის ობიექტების მიერ მოსახლეობის მომსახურების მდგომარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V და VII პლენუმების და საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილებების საფუძველზე გატარებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკაში შესამჩნევად გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, ამაღლდა მისი კულტურა. გარკვეული ღონისძიებები გატარდა მომსახურების ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი სახეების განვითარებისათვის, როგორიცაა თეთრეულის რეცხვა და ტანსაცმლის ქიმიური წმენდა.

გარკვეული ყურადღება ეთმობა თეთრეულის რეცხვის და ქიმიური წმენდის ობიექტებში მომსახურების რაციონალურად დაგეგმვას, ამ დარგში დასაქმებული ადამიანების შრომის პირობების გაუმჯობესებას, მათი მუშაობის ხარისხის ამაღლებას, არსებული მოწინავე მეთოდების ეფექტურად გამოყენებას.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა, ა. აზიროვმა.

* * *

მუდმივმა კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს სათანადო დადგენილებები.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-

№ 8
ეროვნული ბიბლიოთეკა

მის 1978 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოდა 204 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონიდან	3
ქ. რუსთავიდან	8
ქ. ფოთიდან	4
ქ. წყალტუბოდან	8
ქ. ჭიათურიდან	16
ახალციხის რაიონიდან	5
ბოგდანოვკის „	4
ბოლნისის „	12
გარდაბნის „	35
დმანისის „	11
ზუგდიდის „	3
თეთრი წყაროს „	17
თერჯოლის „	5
ლაგოდეხის „	10
ლენტეხის „	6
მესტიის „	13
საგარეჯოს „	16
ჩოხატაურის „	3
წალენჯიხის „	9
სამხრეთ ოსეთის ა/ო	16

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 25 აგვისტოს ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოდა 4097 კაცი:

ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან	266
„ კალინინის „	66
„ ოქტომბრის „	148
„ 26 კომისრის „	63
„ საქარხნო „	97
ქ. ზუგდიდიდან „	30
ქ. ტყიბულიდან „	77
ქ. ფოთიდან „	85
ქ. ქუთაისიდან „	66
ქ. წყალტუბოდან „	159
ასპინძიდან „	120
ახალციხის „	228

ახმეტის	„	163
ბოლნისის	„	61
ბორჯომის	„	5
გორის	„	183
გურჯაანის	„	421
დუშეთის	„	137
ვანის	„	81
ზესტაფონის	„	142
ზუგდიდის	„	49
თეთრი წყაროს	„	251
კასპის	„	195
ლაგოდეხის	„	93
ლანჩხუთის	„	23
მაიაკოვსკის	„	11
მარნეულის	„	278
მესტიის	„	20
მცხეთის	„	55
ორჯონიკიძის	„	17
საგარეჯოს	„	44
სამტრედიის	„	36
საჩხერის	„	30
ქარელის	„	35
ყაზბეგის	„	22
ჩხოროწყუს	„	25
ცაგერის	„	126
წალენჯიხის	„	36
წალკის	„	62
წითელწყაროს	„	8
წულუკიძის	„	14
ხობის	„	69